

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2023 წლის 20 აპრილის N13 დადგენილებით

**პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე
სასწავლო პროცესის განხორციელებისას წარმოქმნილი ნარჩენებისა და შექმნილი
მტკიცებულებების განადგურების ინსტრუქცია**

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე ინსტრუქცია არეგულირებს სსიპ-შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდეგში „უნივერსიტეტი“) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე (შემდეგში „პროგრამები“) სასწავლო პროცესში წარმოქმნილი ნარჩენებისა და შექმნილი მტკიცებულებების განადგურების პროცესს სასწავლო უნივერსიტეტში არსებული ნარჩენების მართვის (უტილიზაცია) წესის შესაბამისად.

მუხლი 2. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენები

1. ნებისმიერი ტრანსპორტირებადი ნივთიერება ან ნივთი და დაგვა-დასუფთავების შედეგად შეგროვებული მასა, რომელიც აღარ წარმოადგენს საჭიროებას და დაკარგა სამომხმარებლო თვისებები, ექვემდებარება უნივერსიტეტის ტერიტორიიდან გატანას და მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ნაგვის ურნებში გადაყრას;
2. სასწავლო და ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების - **ქაღალდის ნარჩენები** (სტუდენტის შეფასების მტკიცებულება, მატერიალური კითხვარები, ჩამოწერილი წიგნები და ჟურნალები, გამოყენებული სასწავლო მასალები, მუყაოს ბაინდერი და სხვა), **პლასტიკატის ნარჩენები** (კალამი, პლასტიკური საქაღალდე, ფაილი, მარკერი, დაფის საშლელი და სხვა), **საყოფაცხოვრებო ნარჩენების** (საყოფაცხოვრებო საქმიანობის, დაგვა-დასუფთავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი) შეგროვება ხდება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ერთჯერადი პაკეტებით დაფარულ კონტეინერებში, რომლებიც განთავსებულია ყველა აუდიტორიასა და ადმინისტრაციულ ოთახში; საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა

- ხდება ყოველდღიურად ამ ნარჩენებისათვის განკუთვნილ მუნიციპალურ კონტეინერებში/ბუნკერებში;
3. მსხვილგაბარიტიანი საყოფაცხოვრებო ნარჩენები პირდაპირ გროვდება ამ ტიპის ნარჩენებისათვის განკუთვნილ მუნიციპალურ კონტეინერებში/ბუნკერებში;
 4. სასწავლო პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების გატანამდე შესაბამის კონტეინერებში განთავსებას უზრუნველყოფს სტუდენტი მოდულის განმახორციელებელ მასწავლებელთან ერთად.
 5. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს დამლაგებელი.
 6. **სამშენებლო ან/და სარემონტო სამუშაოების წარმოებისას წარმოქმნილი ნარჩენების და ანალოგიური ნარჩენების შეგროვება ხდება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ამ მიზნებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში ან ტომრებში, სამშენებლო ნარჩენების გატანა ხდება საჭიროებისამებრ, გონივრულ ვადებში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;**
 7. უნივერსიტეტის ტერიტორიიდან სამშენებლო ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს სარემონტო სამუშაოების მწარმოებელი პირი/ორგანიზაცია, უნივერსიტეტის გარეთ --
- სპეციალური მუნიციპალური სამსახური;
 8. **ბასრი ნარჩენები** უნდა მოთავსდეს ბასრი საგნების ჩხვლეტისა და გაჟონვისადმი მდგრად ერთჯერად კონტეინერში.
 9. **სასწავლო პროცესში გამოყენებული შპრიცები** ბასრი საგნების კონტეინერში თავსდება ყოველგვარი დამატებითი კონტაქტის გარეშე (დაუშვებელია გამოყენებული შპრიცისა და ნემსის ერთმანეთისგან განცალკევება, ნემსისთვის თავსახურის ჩამოცმა, ნემსის გაღუნვა, გადაჭრა და ქიმიური დამუშავება). ნებისმიერი ნემსი, შპრიცის გარეშე, მიუხედავად იმისა, დაბინძურებულია თუ არა ბიოლოგიური სითხეებით, უნდა მოთავსდეს ბასრი ნარჩენების კონტეინერში. ამასთან, ნემსის გარეშე გამოყენებული შპრიცები, რომლებიც სამედიცინო მომსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე, გამორიცხავს სისხლსა და ბიოლოგიურ სითხეებთან კონტაქტს, შეიძლება მოთავსდეს საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერში;
 10. **ქიმიური ნარჩენების** მართვა რეგულირდება „ფარმაცევტულ /ქიმიურ ლაბორატორიაში ნარჩენების მართვის ინსტრუქციით“

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების განადგურება

1. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები -ე.წ. ქალაქის ნარჩენები (სტუდენტის შეფასების მტკიცებულება, შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების მტკიცებულებები,

პროფესიული სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალი და სხვა), შენახვის ვადის გასვლის შემდეგ ექვემდებარება უტილიზაციას/განადგურებას;

2. მტკიცებულებების შენახვის ვადის გასვლის თაობაზე ინფორმაციას წარმოადგენს სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და უზრუნველყოფს ამ მტკიცებულებების გატანას ცალკე ადგილას წინამდებარე ინსტრუქციის შესაბამისად;

3. შეფასების მტკიცებულებების განადგურების აქტს ხელს აწერს პროფესიული განათლების ზუგდიდის/სენაკის ცენტრის უფროსი და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი.

4. შეფასების პროცესში შექმნილი შეფასების მტკიცებულებები, რომელიც წარმოადგენს მატერიალური სახის შემოქმედებით ნამუშევარს და შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საგანმანათლებლო მიზნებისათვის, შესაძლოა, არ დაექვემდებაროს განადგურებას და გადაეცეს უნივერსიტეტის არქივს.

5. საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ ნამუშევარს უნდა მიეთითოს ავტორ(ებ)ის სახელი და გვარი.

6. განადგურების პროცედურები უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს.

7. პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი შესაბამისი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს რექტორს, სადაც აწვდის ინფორმაციას „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად“ მტკიცებულებების განადგურების თაობაზე . სამსახურებრივ ბარათზე თანდართულია განადგურების აქტი (იხ.დანართი 1), სადაც აღნიშნულია პროგრამის/ მოდულის დასახელება და განხორციელების პერიოდი, პროფესიულ სტუდენტთა მიღების წელი, შეფასების მტკიცებულებების რაოდენობა (ცალი).

მუხლი 4. დამატებები და ცვლილებები

წინამდებარე ინსტრუქციაში ცვლილებები ხორციელდება უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ.